



თეატრი სხოვნება


ათეატრის სალიტერატურო აქრნალი

№ 31. — 1914

5 ოქტომბერი

დაეწვარი

თეატრი



დაიწვა
კველი

გაუმაჯოს
ახალი



№ 31
ზინაარსნი:

1. რა ევალემა დღევანდელ კრებას?—
მეთაური 1
 2. ნანგრევზე, ლექსი გ. ქუზიშვილისა 2
 3. როგორ დაიღუპა ჩვენი წმიდათა წმიდა?
იოსებ იმედაშვილისა 3
 4. ახალი ქართული თეატრი, წყრილი
დ. ნახუცრაშვილისა 5
 5. სანთლები, ლექსი გალაქტიონ ტაბიძისა 7
 6. სიცოცხლე მწყურია! გ. მუშლაძისა ”
 7. მე არ ვიცი... ლექსი ი. დარაშვილისა ”
 8. ბრძოლის ველზე, ესკიზი ი. ჭიჭინაძისა 8
 9. დაიწვა ქველი—გაუმარჯოს ახალს! 9
 10. წარმომადგენელთა თათბირი 12
 11. სიცოცხლის ღიმი, ი. მასაშვილისა 13
 12. სათეატრო მიმოხილვა: ქუთაისის
თეატრი, თეატრის შეკვარებისა 14
 13. ბაქოს დრამ. დასი, —ს.—სა— 15
დ. ხაშური ნიკო გურულისა ”
 14. შემოწირულება თეატრის ასაშენებლად ”
 15. წვრილი ამბები 16
- სურათები: განცხადებანი...

„თეატრი და სცენა“

რედაქციის დროებითი ბინა იმყოფება „სორა-
ზანი“-ს სტამბის კანტონარში (მადათოვის კუნ-
ძულზე, № 1). სარედაქციო საქმეებზე მოლაშ-
რაკება შეიძლება დღით 9—2 ს., საღამო-
თი 5—7 ს

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ დღეიდან ამ
წლის ბოლომდე გაეზავნათ ჳღიანს ორი (2) მ.
ფული და მასალები უნდა გამოიგზავნას: Тиф-
ლისь, ред. жур. „Театри да Цховრება“
Иос. Имедашвили.

ქ. ი. გომართელი

უკვე თბილისს დაბრუნდა. ავადმყოფებს.
მიიღებს ახალ ბინაზე (ანასტასიევის ქ.
№ 8, ვერისკენ) დღით 8—11 ს., სა-
ღამოთი 5—7 ს.

ტელეფ. 6-33.

ვინიდან ომიანობამ ხე-
ლი შეგვიშალა, ამიგომ

ჯაჯუ ჯორჯიკიას

თხზულებათ პირველ ტომზე ხელის მოწერას ვაგრძელებთ
ენკენისთვის ბოლო რიცხვებამდე. წიგნი ხელის მოწერით
ღირს ათი შაური. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარა-
კება და ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: ქუთაი-
ის „შრომის რედქციაში გიგლა მებუქეს. გამომცემლობა.
„ნარგისი“.

(5—3)



№ 31

წ. 11

წლიურად 5 მ., ნაწევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქარლამაზ, საზოგ. კანტორაში და „სორაპან“ სტამბაში. მისმართი: Тифლის, ред. „Театрида Цховреба“ Иос. Имедашвили

ხელ-მოწერული წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საპირობისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთ 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 31

კ ვ ი რ ა ნ ს ლ ვ ი ნ ო ბ ი ს თ ვ ი

1914 წ.

5 ლინოგისტოვი

რა ევალემა დღევანდელ კრებას?

ჯოჯოხეთურმა ცეცხლმა დაამხო ჩვენი თეატრი, ლვითურმა ცეცხლმა აღაგას ახალი!..

ეს არის სურვილი მთელი ქართველი ხალხისა, მთელი ერისა!..

მართლა და დიდი უბედურება ჩვენი ქვეყნისა მხოლოდ ის იქნებოდა, რომ ისეთი განძის დაწვას, როგორც თეატრია, უმნიშვნელოდ ჩაეგლო, უცაბედ ზარალის წინაშე ქედი მოგვეხარნა და ბრმა ბედს დავმორჩილებოდით!..

არა! დღეს ქართველი სამშობლო თეატრის საშუალებით იმდენად გათვინცობიერებულია, იმდენად მომწიფებული, რომ ასეთ განსაცდელში სულთ არ დაეცემოდ!

და არც დაეცემა!

თუ წარსულში მრავალი უბედურება გადავიტანეთ, ურიცხველ მტერთ ცეცხლით და მახვილით შემოტევის გავუძელით, არა ერთგვისი დამხობილი სამლოცველო—ტაძარი ავაგეთ მიუვალ კლდე-ღრეებში და მთებზე—ღვთის სადიდებლად, არც ახლა მოგუდრეკთ ქედს ჩვენს საერთო მოულოდნელ უბედურებას!..

ჩვენ გვწყურია სიცოცხლე და ვიცოცხლებთ კიდევ ცეცხლით განწმენდილი, ქირავების კრემლებში განბანილი!..

გეწამდეს, მომავალი გვიღიმა!..

დადგა წუთი, როდესაც მუხთალი ბედი გამოგვცდის—მართლა საკუთარის ვინაობის დამფასებელნი ვართ თუ არა?

დღეს გამოჩნდება, „ვის უფრო გვიყვირს, ძმანო, მამული!?!“

ყოველმა ქართველმა კარგად უნდა იცოდეს, რომ იგი არა თუ **წენობრივად**, არამედ **იურიდიულადაც** მოვალეა თავის წვლილი არ დაზოგოს თეატრის ასაგებად, რადგანაც თუ ჰსურს ქართველად იხსენიებდეს, თავისი სამშობლო ჰქონდეს, განათლებულ ერთა შორის პატარა კუთხე მასაც დაეთმოს, უქვევლად უნდა აღადგინოს ის ტაძარი, ის დაწესებულებანი, რომელნიც ხალხთა კულტურის ნიშნის და მისი სიცოცხლის ძარღვის ცემის მაჩვენებელია!..

მართალია ის ერთი დღითა პატივცემული, ყველა ქართულ საქმეთა გულ-შემატკივარი ქართველი მამულიშვილი, რომელმაც გუშინ წინ ერთ წრეში წარმოსთქვა—მერმის მისში უქვევლად უნდა შეუდგეთ თეატრის აშენებას! თუ ასე არ მოვიქცით, ნურც გვიტარებია სახელი ერისა და ცოცხლივ დავიმარხნეთო!..

და გეწამს, რომ ეს ასე იქნება!..

თავის მხრით ამ პატივცემულმა ქართველმა **ასი თუმანი (1000 მ.)** გადასდო თეატრის აშენებისათვის (ბანკში ძვეს და ყოველ წუთს შეგვიძლიანთ მიიღოთო), და მეტად ბრაზობდა, რომ ზოგიერთნი, მდაბიო ხალხთან შედარებით, შეძლებულნი ოცოცდახუთს მანეთს სწირვენ; ვისაც არ შეუძლიან—მისი კაპეიცი დიდა, ხოლო ვისაც საშუალება მოეძებნება—განა შეჭფერის კაპეიკობით ლაპარაკიო?

და ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვა არ არის, არც თუ თავ-მოსაწონებლად ნათქვამია, —სწირავს და ჯერ ნუ გაახიანებთო,—იძახის. აი მამდვილი გულშემატკივრობა საქმისა. სურვილი უქვე ხორცს იხსავს.

დაიწყო შემოწირულება: დიდი და მცირე, ბრწყინვალე თავადი და მრავალი მწუხარება გამოვლილი გლეხი, ვაჭარ-ფულანდარი და ხელდაკარგებული შავი მუშა, ბატონი და ხელზე მოსამსახურე,—ყველა, ყველა ერთნაირად განიცდის ჩვენს ეროვნულ დანაკლისს და, როგორც ერთი კაცი, რაც კი შეუძლიან, სწირავს, რომ კვალად აღდგენილ იქმნეს სამშობლო ენის საკურთხეველი, ქართველი ერის ერთადერთი ტაძარი—სამლოცველო!..

არ დარჩება არც ერთი შვილი ჩვენის ქვეყნისა, ვინც კი ქართველის სახელს ატარებს, ვინც კი წევრია ჩვენის მრავალტანჯული სამშობლოსი, რომ საქმით არ გამოეხმაუროს ჩვენი დანაკლისს შევსებას!..

საქართველო წარსულში ბევრჯელ წვევია დიდი და საერთო უბედურება—შემოსულს მტერს აუკლია ქვეყანა, ცეცხლისთვის მიუტია იგი.

ამ დროს მთელი ერ, მთელი ხალხი—თავადი, აზნაური, გლეხი, ვაჭარი, ხელოსანი, ბერი, მღვდელი, ქალი თუ კაცი,—ერთის გრძობით შეკავშირებულა, ერთის აზრით და მიზნით აღტყინებულა და მით უძლევია ხოლმე თავდამატდარი მოულოდნელი უბედურება!

სწორედ დღეს მოგვევლინა ასეთი დიდი უბედურება! და დღემდე ურთიერთისაგან გათიშულნი ამ უბედურებამ უნდა შეგვაერთოს, შეგვაკავშიროს!

დღევანდელი სულიერი განწყობილება ჩვენის ქვეყნისა სწორედ ამ სურათს წარმოგვიდგენს.

თვით თავადაზნაურთა წინამძღოლმა, თავ. კ. ნ. აფხაზმა ითავა და მიიწვია სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი სათეატრო საქმეებზე სათათბიროდ და თეატრის აღსადგენ—ასაშენებელად საქირო თანხის შემკრებ კომიტეტის შესადგენად.

ეს კრება დღეს შესდგება დეპუტატთა საკრებულოში.

დღევანდელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს, როგორ შეუდგეს საქმეს, რა დასაბამი მისცეს?

და მკვიდრი საძირკველი ხომ საშვილი-შვილო შენობის საფუძველია.

დღევანდელმა კრებამ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ კომიტეტში არჩეულ იქმნეს ჩვენის ქვეყნის კოველი წოდება—წრის წარმომადგენელი, თავადი, გლეხი, მდიდარი, ღარიბი, ვაჭარი, მუშა, მოხელე, ყოველმხრივ უმწიკლო, სანდო მოსაქმე, — მხოლოდ და მხოლოდ თეატრის აშენების საქმით ვატაცებული, რომელმაც უნდა გამოხატოს მთელის ერის სურვილ—მისწრაფება!.. შემუშავებულ იქნეს შემოწირულებათა შეგროვების წეს—რიგი (გამოიცეს სიები, კუბონები—სხვადასხვა ფასიანი, და სხ.); დადგენილ იქმნეს, რომ თეატრის ასაშენებლად შეგროვილი თანხა არას შემთხვევაში სხვას არაფერს მოხმარდეს (ჩვენში რომ იციან—შევისესხობთო,—ეს არ უნდა იყოს) და ააშენოს ისეთი თეატრი, რომელიც კერძოდ არვისი იქნება, ხოლო იმავე დროს, მთელ ქართველ ჰალხს ეკუთვნება, ე. ი. იქნება ქართული ეროვნული თეატრი.

ამ სურვილებით ვუსურვებთ გამარჯვებას დღევანდელ პირველ კრებას, ჩვენის თეატრის საკეთილდღეოდ შემდგარს.

ნ ა ნ გ რ ე ვ ზ ე

1914 წლის 25 ნენკისთვეს დაიწვა ქართული თეატრი...

ვინ, ვინ გაქურდა წმიდათა-წმიდა, ვინ დავეინგრია თავშესაფარი?...

— «ცეცხლმა, ქვესკნითთ ამოტყილმა! ცეცხლმა!» ისმოდა ხმა შესაზარი...

საღლა ვეძიოთ აწ სამლოცველო, საღლა ჭდეროდეს ღვთისთბი ქნარი?..

— «ნანგრევთა შორის, რღვეულთა ბჭეთა, ნანგრევთა შორის!»—დამუოდა ქარი...

ასე დაინთქა სამსხვერპლო ჩვენი, ასე დაემხო დიდი ტაძარი, და დღეს ვაგლახად მოსჩანსლა მხოლოდ გადაბუებული გარემო მკვდარი...

როგორ დანიშნა ჩვენი წმიდათა წმიდა?

ათი დღეა, რაც აღარ არის ჩვენი—ქართველთა—სულიერი ცხოვრების კერა, ჩვენი ურთიერთობის სამსხვერპლო, დიდი ოჯახი, და ჯერაც კი ვერ შევრეგებებთ ამ აზრს...

მაგრამ მწარე სინამდვილე საზარელობას წარმოიდგენს—ლაშაზ, კოპწია ხელოვნების ტაძრის ნაცვლად, საზამთრო და საზაფხულო თეატრების მფიერ, მხოლოდ ჯოჯოხეთური ნანგრევები!..

და ისეთი დიდებული მშენებლობა მუდამ მშენებლების მღალადებელი ჩემ თვალთა წინაშე დანთქა.

იყო და აღარ არის!

25 ენკენისთვე უბედური დღეა ქართული მელოპომენისა, მაგრამ იქნება იგივე დღე შეიქმნეს ჩვენის აღორძინება-განახლების პირველ დღედ!

ნაშუადღევის მესუთე საათზე სტამბაში ჩავედი შორიგი ნომრის გასაწორებლად, რადგან მთელი მასალა აწყობილი იყო უცებ საოთამწყობმა მითხრა—ქართული თეატრი იწყისო. მეუცნაურა ხმა, მაგრამ როცა განმეორებთ მითხრა, — ტელეფონით შევეკოთხე თეატრში, მიპასუხეს თეატრი გვეწვისო. მაშინვე გავექანე გულგადაბრუნებული, მაგრამ არც სასახლის ქუჩით, არც ერევნის მოედნით, არც სარაჯიშვილის სახლის ეზოთი არ შემიშვეს. ორის მხრით ჯარი და პოლიციელები ჩაეყენებინათ, მესამე ჩაეკეტნათ. ირგვლედი დიდძალი ხალხი იდგა თამაშათ. ჩემმა ხვეწნა-მუდარამ—შემიშვი, ვილუბებით, ეგება გადავარჩინო რამე მეთქი, არავინ ისმინა: კონდახითა და ხმლის ყუთ მირიდებდნენ.

ამ დროს მეორე მხრით დავინახე ქართ. დრამ. საზ. გამგ თავმჯდომარის ამხანაგი თავ. ნ. დ. ერისთავი. არც მას აძლევდნენ გზას. ახლ თუ ვერ შევალთო? მამესმა. გულმა ვეღარ მომითმინა. გავარღვიე წრე, გავქანდი მისკენ, ხელი ჩავავლე და ორივე თეატრის შესავლისაკენ გავქანდი. მთელ სასახლის ქუჩაზე ორონ-ტრიალი იყო: სკლიდნენ მალაზიებს, ვის ავეჯი გამოაქონდა ქუჩაზე, ვის თუთუნო, ვის ქურკული, ვის წიგნები. ცეცხლის მქრობდნენ კი შტაბის მხრით მუშაობ-

დენ, წყალს ერევნის მოედნიდან ეზიდებოდნენ და შტაბის მხრით აქრობდნენ ცეცხლს. თეატრის კარებთან მისულნი არ შეგვეშვეს. მობრძანდა თავ. ა-ზნ. წინამძღოლი თავ. სუმბათაშვილი. არც ის შეუშვეს, ვეუბნებით—მთელი მამულის მებატონეა, შეუშვით, მაინც არ შეუშვეს. ამ დროს მოვარდა ხუროთმოძღვარი ტერ-სარქისოვი, უხსნის—თეატრის ამშენებელი ვარ, ვიცი, საით როგორ უნდა მოვუაროთ, რომ ცეცხლი არ გაძლიერდეს, შემიშვით, ეგება უშველო რამეო, მაგრამ არც მას ვაუღეს კარი. მივიბრინე პოლიციმისტრის თანაშემწესთან—ბნ სტროევიან, რომელმაც შეგვიცანა ეზოში. მთელი ეზო აფორიაქებული იყო. გავქანდი თეატრის კარებისაკენ, რომ არქივსა და წიგნთსაცავს მივშველებოდი როგორმე, არ შემიშვეს. თეატრის ფოიედან-ფანჯრებში ისროდნენ რაც ხელთ მოჰხვდებოდათ. შევსდექ, თეატრში ცეცხლი არა სჩანდა, ცეცხლის მქრობელთა მთელი რაზმი თეატრის მეორე—შტაბის—მხარეს მუშაობდა, სადაც ცეცხლი მძინვარებდა. ამ დროს მომიახლოვდა თეატრის მეტანისამოსე გ. ქორქაძე. „სულ გადავყარე!“ მომამხანა, — ალბად მიმიხვდა რასაც ვკითხავდი. „წიგნები?“ — ვკითხე. — „სული!“ იყო პასუხი. გული დამიარხებინდა. მაშ არქივი გადაჩენილია!* ვიფიქრე და ეზოს გადავავლე თვალი, „კაფე-პარიტის“ წინ, საოაც წყალ-ტალბოში გაფანტული იყო დრ. საზ. კანტორისა და „თეატრი და ცხოვრების“ კონება—უკურნალები, ხელთნაწერები და სხ., მაგრამ შკაფები-კი, რომლებშიაც სამუხეუმო ნივთები, ხელთნაწერები, კლიშეები და მასალები ეწყო, არსად სჩანდა. ამ ნივთების ძიების ფიქრში ვიყავი, რომ თავს „მსხვერპლისა“ და „სინათლის“ ატორი ი. გედევანიშვილი წამომადგა, გამტკნარებული, კრიკა-შეკრული, მძიმე დუმილით ვით ქანდაკება ბრინჯაოსი...

გავიდა თითქმის საათი, აურ ზაური დიდი იყო, მაგრამ თუ თეატრის მხრით ცეცხლს აქრობდნენ, ეს არ ემჩნეოდა. თეატრს საკუთარი ცეცხლსაქრობები აქვს, ეზოშიაც წყა-

* არქივი და წიგნები ჯერაც არ გამოჩენილა

ლია, მაგრამ არც ერთი ამითი არ უსარგებლობიათ: წყალი უშუაღდესვე დეშრაო. ცეცხლის გაჩენისთანავე (ცეცხლი გაჩნდა სწორედ მაშინ, როცა თეატრში არავინ იყო, — 3—6 საათ. მუშაობა სწყდება) მოვარდნილიყო თეატრის ერთი მუშათაგანი, რომელსაც სკოდნოდა სცენაზე ცეცხლის საქობის საიდუმლო გასაღებნი, ემუღარნა—შემიშვით, ან წამომყევით, გაჩვენებთ რა გზით ჩავაქროთ ცეცხლი, მაგრამ არავის შეესმინა. ვიღრე ცეცხლი გაძლიერდებოდა და თეატრს მოედებოდა, თეატრის ღირექტორს, ი. გვევანიშვილს, შეენიშნა თუ არა ბოლი თეატრის მარცხნივ ფანჯარაში, ხელი წაველო ცეცხლის ერთი მქრობელისათვის და შეხვეწნოდა: წამომყე, აქეთა მხრიდან მიუშვირე საქობი, რომ ცეცხლი სათავეშივე ჩააქროთ, მაგრამ ცეცხლის მქრობელს ეთქვა—ბრძანება არა მაქვსო. .

როგორ განჩა ცეცხლი?

„კაფე-პარიზის“ სამხარეულოდან იფეთქა ცეცხლმა, ერთნი ამბობენ, რაპერტის მეტანი-სამოსე ივანოვიმ ანთო „ზენზინკა“, რომელიც იაშიკში შეედგა, გადაბრუნდა და იქიდან განდაო, ზოგნი ბოზარჯინაის თამბაქოს საწყობს აბრალებენ, მაგრამ სწორედ არაფერია გამოკვლეული.

ვიღრე ცეცხლი გაძლიერდებოდა, ვიღაც საექო სახის სულიერი ჰლეწდენ და ანადგურებდენ, რაც შეხვდებოდათ, — ვითომ და ვშეელით; უნდა გადავარჩინოთ, მქრობელთა შორისაც ბევრი ჯიბე-უბისეენ იკრავდა ხოლმე, რასაც მოჰხელავდა, ზოგნი მაგარ სსამელთ ეწაფებოდენ და კონსერვების კოლოფებს სტებდენ და სთქველფავდენ, საღამოთი დაარაბის პარიკმხერ გიორგი ვეზრისვილის სახელოსნო და 250 მანეთამდე აზარალეს. — ისეთი სურათი იყო, თითქო მტერი შემოსევიო. მხოლოდ ქართველი ახლგაზღობა თავგამოდებით მუშაობდა და სკდილობდა გადაერჩინა რამე. .

ზნდისას ჩაიწვა ქარვასლის მარცხენა მხარის (გალერეის შესავლისკენ) რამდენიმე თვალნი, იქ შთაინთქა ქ. შ. წ. კ. სახ. წიგნის საწყობები (დაუზღვეველი, ზარალი 60-70 ათას მანათამდე), წინგთ მკაზმავნი, სადაც წ. კ. ს. სა-

ხელმძღვანელოები მზადდებოდა და სხვა კერძო საექო ბინები. მალე ცეცხლი თეატრს სწვდა... ამ დროის განმავლობაში აფეჯს, წიგნებს, დეკორაციებს და სხვას, რაც-კი ხელში მოჰხვდებოდათ, ეზღებოდენ „ზაკ. რეჩისა“, „სახ ფურც.“ რედაქციასა და სარაჯისვილის სახლის ეზოში. თავზარდაცემული წ. კ. ს. მაღაზის გამგენი მაღაზის ჰიპარად სკლიდენ, — დიდძალი წიგნი დაეღუბათ, რადგან წიგნებს სასახლის ქუჩის მხრით ქუჩაზე ისროდენ. ქარვასლის მთელს ეზოში და კარებზე მიმოპნეული იყო ჟურნალ თეატრი და ცხოვრებისა ნომრები და ნასყიდავილის კანტორიდან გამოკრიბო ჟურნალ-გაზეთები.

დაღამებისას თეატრს შევხვე წინიდან. შევეყითელი ბოლი გველეშაპის ენებით გამოქშუვდა თეატრის წინაპირის (ფასადის) მაღალ სამ თვალში, მის ზევით, სადაც მუშათა აღალმები სდგას. ბოლი თანდათან გაწითლდა, უცებ იგრილა, გისმა მძიმე, საზარელი გრუხუნი: მოიმზელა თეატრის ქერი და პარტერს დაეცა. . და წუთს თითქმის ყოველივე მიუქრდა. ცეცხლმა გაიმარჯვა.

სწორედ ამ დროს გვერდიდან მომესმა ქალის საზარელი შეწივლება; ტირილი და თავპირში ხელის ცემა. . „წყალი, წყალიო! ჰყვიროდენ გარეშენი. მიიხებდე და თალხებში გამოწყობილი, ჯანღონით საფე, ლამაზი ქალი დაეჩახე, ოდნავ ჩაჩქილი, სასომიხილი. .

და იმავე წუთს წარმომიდგა სამშობლო ჩემი, ჩემი ქვეყანა, სამგლოვიარო ძაძით მოსილი, რომლის მწუხარებას აღარ უჩანს ბოლო. . .

მუხლთ ჩამეკეცა, თითქო გული გამიქვავდაო, ნერწყვი გამიშრა, ვეღარას ვგვრძობდი და ბედკრულევილი, თაფჩალუნული გავეცალე ჩემს მშობელ კერას, ჩემის სულის საუნჯეს, ასე უცაბედად, ასე უგზურად დანთქმული. . .

სულ სამი დღე არ იყო, რაც აქ ვიხილეთ „მსხვერპლი“, ნარუქი უდიდესი მსხვერპლისა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ამ 7—8 წლის წინად შესწირა, ჯერ ორი თვე ძლიესა, რაც ჩვენმა სამშობლომ დიდი, დიდი მსხვერპლი უძღვნა საერთაშორისო ომიანო-

ბას, და ნუ თუ კიდევ ასეთი უცაბელი მსხვერ-
პლი გვეჭირვებოდა კიდევ?...

მეორე დღეს გულის ფანქარით წარ-
ვემართე ჩემი წმიდა ტაძრისაკენ, სადაც
დღე მუდამ—დილა-საღამოს—ჩემს ღმერთს
მსხვერპლს ვსწირავდი ხოლმე...

ციფიკე იქნება სიზმარი იყო მეთქი,
როგორც იქნა შემიშვებს და—ვაჰმე! მხო-
ლოდ შერუებული კედლები, ოდნავ ბოლის
ხრჩოლვა! პარტერს გადავხედე, ლოყებს
თვალი ავივლე!.. სადღაა? მხოლოდ ნანგრე-
ვი, ნანგრევი! და ზვიდან უსახლგრო ცა
დაჰყურებს. პარტერში მარცხნივ, ლატერის
ლოყის კუთხესთან, მხარ-მომტერეული ქან-
დაკება-ღა გამოიყურება, სევდის მომგერე-
ლად შებოლილი, თითქო ჰგოვობს უდ-
როვოდ დანთქმულ მშენებასო! აველ
ბაღში და უფრო შავნელა სურათი აქა ვნა-
ხე: მარტოოდენ აფური და ნახშირია. ბაღში
მიყრილ-მოყრილია ვითომ და გადარჩენილი
ავეჯი, მაგრამ იგინიც კაცთა ხელით დაზი-
ანებული. ბაღის ერთს კუთხეში ჯგუფად
ისხდნენ ქართ. დრამ. დასის მსახიობნი, რო-
მელიც ღრმა დუმილით გაჰყურებდნენ დან-
თქმულ კერას!..

უკან გამოვბრუნდი. ფოიეში ვერ
გავიარე, საშიშია!... ნანგრევენი შიშის
ხარს გცემენ, ყინვასა ჰგრძნობთ... მცი-
ვათ!.. რაღაც მძიმე ლოდი გაწვებათ. და იქ,
სადაც ანგელოსთა ტკბილი ხმით იშვებდით,
სადაც სულით ზეკაცდებოდით, აწ სიკვდი-
ლია... გამოველ და ერთხელ კიდევ შევხე-
დე წინაპირს. რაღაც განგებით მალა უფნებ-
ლად სდგანან მშენიერებისა, სასცენო ხელო-
ვნებისა და მუსიკის მუხანაი, ხოლო მათ
ზევით-კი დიდებული შექპირის შერუებულ-
შებოლილი გამოკვეთილი სახე.

სწანს ძლიერმა ცეცხლმაც ვერ შთანთქა
ადამიანის სულიერ შემოქმედების აღმამართოგა-
ნებელნი და მსოფლიო ჰენიოსს.

ნუ თუ აღარ აღსდგება ის ტაძარი, რო-
მელიც მუდამ მშენიერებისა და სილამაზისა-
ცში მისწრაფებას გვიწერავდა, გვაბლღებდ,
გვწრთინდა, გვაადამიანებდა?
უნდა აღსდგეს!

იოსებ იმედაშვილი



რუსეთის გამოჩენილი მკვლევარი
ნ. მ. ლერმონტოვი
(დაბადებიდან ასის წლის შესრულე-
ბის გამო. —წერილი იხ. შემდეგ
ნომერში)

ახალი ქართული თეატრი*)

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარბულა,
რაც უწყალო დროს ხელით დანთქმულა...
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოლობაღი,
ჩვენ უნდა მივეკეთ მომავალი ხალხს.“

ი. ჭავჭავაძე

ქართული თეატრი დაიწვა. მძიმე უბე-
დურება დავატყდა თავს. ყველა გლოვამ
მოგვიცევა, მაგრამ „ქირსა შიგან გა-
მაგრება ასე უნდა ვით ქვიტკირსა“; სიმხნე-
ვე არ უნდა დავკარგოთ, სულით არ უნდა
დავეცეთ. ერთი თუ დაიწვა, მეორე ავაშე-
ნოთ... იგი წაევა და სხვა მოვა ტურფასა
საბალნაროსა“. თქვენა ბძანეთ, მხოლოდ
„გული გულობდეს“, ხალხში სურვილი იყოს,
ახალი თეატრის აშენების საჭიროებას გრძნო-
ბდეს, თორემ ახალის აშენება არც ეგრე ძნე-
ლია, როგორც შეიძლება გვეჩვენებოდეს.

ქართველ საზოგადოებაში რომ ამის სუ-
რვილი არის, რომ მტკიცედ სწამთ და უნ-
დათ კიდევ თეატრის აშენება, ამას მოწმობს
უკვე დაწყებული ხელის მოწერით ფულის
შეკრება ამ მიზნისათვის.

ამის გარდა ჯერ კიდევ ფართოდ არ არ-
ის გავრცელებული ცნობა ამ ახალი უბედუ-
რების ამბისა, თორემ მე დარწმუნებული ვარ,
ვით მივარდნილ და შორეულ კუთხიდანაც
კი მოითხოვენ ახალი თეატრის აშენებას და
თავიანთ წვლილსაც არ დაიშურებენ.

მაშასადამე, ხალხი არამც თუ თანაუგრძნობს ამ აზრის განხორციელებას, არამედ მტკიცეთ და გადაჭრით მოითხოვს, რომ ახალი ქართული თეატრი აშენდეს.

ესლა იმას მივუძღვიოთ ყურადღებას, თუ რა გვარი თეატრი აშენდეს,— ი. ძველი აღსდგეს მკვდრეთით, როგორც ზოგიერთნი სურეობენ, თუ სულ ახალი აშენდეს ახალს ადგილზე; საკუთარი, დამოუკიდებელი, მიუწყებელი ვისთანმე?

ჩემის აზრით სწორედ ეს მხარე ამ დიდი საგნისა უფრო მეტს ყურადღებას თხოულობს ჩვენგან, ვიდრე ზოგს ჰგონია. ეს არც ისე უბრალო და უმნიშვნელა საგანია, რომ ყურადღება ამ თავითვე არ მიექცეს.

მართლაც, ძველს ადგილას თეატრის აშენება და ისევ ძველი პირობების შექმნა, იქნებოდა დიდი და უპატივებელი შეცდომის განმეორება

მართალია, დამწვარი თეატრი სახელით ითვლებოდა თავ-აზნაურობის საკუთრებად, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ იგი ნამდვილად მთელი ქართველ ერის სიამაყეს შეადგენდა.

აგრედვე ისიც კარგად ვიცით ყველამ, თუ ჩვენი ღარიბი თავ-აზნაურობა რა დიდს მსხვერპლსა სწირავდა ჩვენს საერთო საქმეს—თეატრს.

მაგრამ მაინც ქარ. დრ. საზოგადოება ვერა გრძობდა თავს სასურველს მდგომარეობაში, იმიტომ კი არა, რომ ფული აკლდა ხოლმე, არამედ იმიტომ უფრო, რომ ქართული თეატრის ბატონ-პატრონი თითონ ვერ იყო; თავ-აზნაურთა საკრებულოს ჟინიანობაზე იყო ძალიან ხშირად დამოკიდებული: ქართულ წარმოდგენებს ექცებოდა ბინა, თუ უბინოდ-უთეატროდ დარჩებოდა ქართული დასი. აგრედვე ყოველს, მცირეოდნად გაგლენიანს თავ-აზნაურთა მოხელეს შეეძლო შეეჩერებინა დრ. საზოგადოების ნაყოფიერი შემოაზნა უდროვო-დროს, ან და შეეფერხებინა მაინც. ამის გამო დრ. საზ. გამოკვობას ხშირად ჰქონდა ხოლმე უსიამოვნება და მიხილა-მოხილა თავ-აზნაურებულოსთან, თუმცა უკანასკნელ ხანს დამოკიდებულება გაუმჯობესებული იყო შედარებით წინანდელ დროსთან. ამას გარდა ბევრი სხვა პირობებია ისეთი, რომლებიც გვიკარნახებენ, რომ

ძველს ადგილას თეატრის აშენება შეუძლებელია. ამ პირობების ამ უმად ჩამოთვლა ბევრს დროსა და ადგილს წამართმევდა და ამიტომ შემდეგისთვის გადავდებ.

ამ რიგად გვრჩება მისაღებად მეორე აზრი— ი. უნდა აშენდეს ახალი ქართული თეატრი ახალს ადგილას, საკუთარი, არავისი კუთვნილი გარდა მთელი საზოგადოებისა ქ. დრ. საზოგადოების სახით. ის იქნება მისი ნამდვილი ბატონ-პატრონი.

ამ საეროვნო თეატრის აშენებაში ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა: დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა თავ-აზნაურობამ და გლახობამ; მრეწველმა და მუშამ, მდიდარმა და ღარიბმა, ერის კაცმა და სამღვდელეობამ, ქველმოქედმა და კრიტიკმა; კი, ერთის სიტყვით ყველა ქართველმა განურჩევლად სარწმუნოებისა.

და როდესაც გადავხსნით ჩვენს გულთან ერთად ჩვენს ჯიბესაც, მაშინ ის დამწვარი თეატრი აღსდგება მკვდრეთით ახალს ადგილზე, უფრო გამშვენებელი, უფრო დიდებული და უფრო მეტად საყვარელი ყველა ქართველისთვის.

იქ განსატყაობება ჩვენი გული სამაგლითო ხელოვნებით დადგმულ: წარმოდგენების მეოხებით და იქ აყვავდება ჩვენი ღრამატიული ლიტერატურაც.

მაშინ ყველანი—შინაურიც და გარეულოც—ღანიახვენ, რომ ჩვენისთანა ღარიბს, მაგრამ სულით მდიდარს და მტკიცე ხალხსაც შეუძლიან თავის კულტურულ საქმის დიდებულად დაგვირგვინება! შეუძლიან ხელოვნების მშვენიერი ტაძარი აღმართოს და იმ ტაძარში ყველა ჩვენგანი შევა ამჟამად, გულხალვათად, ჩვენი გულის სიმტკიცესა და ძლიერებას დარწმუნებული... ეს დიდი გრძნობა გაგვიკვლევს ფართო გზას ცხოვრების მძიმე ასაბრავსზე.

ქართულ თეატრს საკუთარი შენობისთვის ნურაფერს დავხოვავთ; ხელი ხელს მივცეთ და შეუდგეთ საქმეს ეხლავე, დაუყოვნებლივ, რომ ორიოდ წელს დამთავრდეს კიდეც *)

დ. ნახუცრიშვილი

*) ბ. რედაქტორო, ამასთანავე გაუწყებთ, რომ ჯერ-ჯერობით შეერებილი მაქვს ამ მიზნით ხელის მოწერით 79 მ., რომელსაც თავის დროზე ჩავაბარებ იმ ორგანოს, რომელსაც დავადგებელი ექნება თეატრის აშენება.


ს ა ნ თ ლ ე ბ ი

შორს, ზურზუბტის ფერ სივრცეს იქით სანთლები სჩანდა, დასასვენებლად მიიწვედა იქ მესზღეური...
 ერთხელ ზღვა გასწყრა, აირია, გაჟინიანდა:
 ტალღებმა შექმნეს ვაი-ვიში, აურ-ზაური
 და გემს უმიზნოდ, საუკუნოდ დააგვიანდა!

მას აქეთა იალქანი ზღვაზე მიფრინავს,
 მისთვის ერთია—სად დახუჭავს ოცნება თვალებს,
 მიუწოდებელი სანთლები კი ბრწყინავს და ბრწყინავს ..
 როგორ მაგონებს ის სანთლები ჩემს იდეალებს!!



მსახიობი
ზ. მ. ხაფაროვი
 ჩაძალადევი თეატრის რეჟი-
 სორად მიწვეულა.



ს ი ც ო ც ხ ლ ე მ წ ე უ რ ი ა ! !

სალამო ხანია...
 მზის ჩამავალი სხივები უსანდომოდ ესალ-
 მებთან დღის სინათლეს და აღის ფრად იღე-
 ბება დასაველეთი.

მთელ დღეს მოვიფიქვე ჩიტუნებიც
 დაბურულ ტყეს შეეფარენ; აღარც შაშვის
 ჩვეულებრივი ქახქახი აფხიზლებს ქალის მიღ-
 მოგებს! მთიდან მოკქრიალე ნაკადულიც
 ზანტათ მოიზღაზნება ქალის ხეულებში.

მუდამ მოშრიალე ქანდარიც ჩაყურდა და
 სიტყე-პაპანაქებით დაქანცულ ფოთლებს
 ყურები ჩამოუყრიათ.

არა ჩვეულებრივი გამაბრუნებელი, საი-
 ლუმლოებით მოკული სიჩუმეა ყველგან ..
 სიჩუმე სამარისებური!..
 მხოლოდ ქედანის დამაღონებელი, სეე-
 დეს აღმძვრელი დუღუნე მოისის და მას
 ბანს აძლევს ქორის საბედისწერო ჩხავილი!..

ჰგლოვს ბუნება!..
 ქაბუკი პირმშო მკერდზე მიუსვენია მშო-
 ბელს და ცეცხლ-მწველი ცრემლით უნაზავს
 ხანგრძლივი ავადმყოფობისაგან მიმქნარ სახეს.

ქაბუკის მიმქრალ თვალებში კი მაინც
 ცხოველ-მყოფელობის ნაპერწყალი ღვივის:
 — დედა, დედაჩემო... რათ მომანიქე
 სიციცხლე. უნაყოფო და უშინაარსო იქ
 ნებოდა ჩემი ცხოვრება?!

მშობელი სღუმს... და კვლავ აიაზმასა-
 ვით ცრემლის ნაკადულს აპკურებს მის ერთად-
 ერთ იმედს...
 — დედა, სიციცხლე მწყურია!..
 ეს იყო უქანასკნელი სიტყვები მომაკვდა-
 ვისა.

მთის გადღმოდან პირსასვე მთვარემ ამოჰ-
 ყო თავი... და ქაბუკის გაყვითლებულ სახესაც
 მიმოაბნიალია სარკმლიდან ვერცხლის შუქი.

გ. მუმლაძე



ძველი სკენის მოყვარე
მუშა ბესო მისურაძე
 (იხ. „ თ. და ც. “ № 29)

მ ე ა რ ვ ი ც ი ! !

მე არ ვიცი, ჩემის ჩანვით ვინ ვაიდილო, ვის უმღერო,
 ვის მიუძღვნა საწინდრადა შენახული ვარდის ღერო?
 ჯერ არ ვიცი, ვის ვეკუთნი და რას მომცემს მომავალი, —
 მაგრამ მაინც გულს მიღვივის მისწრაფების ცეცხლის აღი!.

ოხ, მითხარით, შემასწავლეთ საით არის მშობლის კერა,
 რომ გავშალო ლალად ფრთები და მოვმართო ჩანვის ქლერა:
 დავეწიო წინამორბედთ და ვაუწყო ჩემი ურვა.

აღარ მინდა ზღვის ჰანგები, აღარ მინდა ზღვაზე ცურვა, —
 მე მსურს მხოლოდ ზეგარა ვიყო მაღალ რწმენის საღიდებლოდ...
 მაშ მითხარით, ვის ვეკუთნი, ვის მივეძღვნა წმიდა მსხვერპლად?!

ი. ღაროშვილი

ოგუი ღაჭ-



კაპ. ან. მაქს წუწუნავა
დაჭრილი 17 აგვისტოს ომში.



პორუჩ. ილ. რცხილაძე
მოკლული

რილნი



კაპ ა ანდრონიკაშვილი
ლუფოთან დაჭრილი.



შტ.-კაპ. ლევ. გრ. გაბაშვილი
მოკლული.

ბრძოლის ველზე

სარდალმა ხელი გაიჭნია და კვლავ გა-
ჩაღდა ბრძოლა...

ბრძოლა იყო საშინელი. შეუბრალებე-
ლი... შემოდგომის მიწა იფარებოდა ურიცხვ
ახალგაზღვებით.. მათ უკანასკნელ თვალის
დახამბამებაში, სულის განშორების ფაშს, ამოი-
კითხავდით: „ეჰ!.. დედა.. ცოლშვილო...
უპატრონოდ მიტოვებულა.. სად დავიმარხე...“
დიად, ადამის ძენი უმოწყალოდ მუს-
რავდნ ერთმანეთს და ავიწყლებოდათ, რომ
აღამიანები იყვნენ...

ნიკო მღუმარედ იდგა,—იგი სხვა
მეომართავან ირჩეოდა... მისი თანამომენს

დახოცილიყვნენ და ეხლა ნიკო მათს ათას გვა-
რად დასახირებულ, სახეთ თვალცრემლიანი
გაჭყურებდა ..

ნიკოს რაღაც აგონდებოდა, გული
ბოლმით ვესებოდა და ლამობდა ცოდვის აღ-
გილიდან გაპარვას... მაგრამ „ვინამე და ვინ
ლაჩრობა!.. წარმოსთქვა: „მოხდეს, რასაც
სული მუდამ წამს ელის.. ხმალ-ამოღებული
მივარდა მოწინააღმდეგეს; მაგრამ უცბათ
გაშეშდა...“

—რას გერიჩი, საბრალო?.. განა შენც ჩემი-
სთანა აღამიანის შვილი არა ხარ?..

ჩუმად ეუბნებოდა ერთ მეომარს და
ღრმად აკვირდებოდა თვლებში“ უეჭველია
გეყოლება ცოლშვილიან მოხუცი დედა... რა
უფლება მაქვს მოუკლა მარჩენელი?..“

წარმოსთქვა შუა ლაპარაკში...

ამ დროს ორმა ჯარის კაცმა შენიშნა
მათი საუბარი:—

— ააზობდ ღალატს ჰქმნიანო!.. წამოი-
ძახეს და ერთმანეთს ანიშნეს:

— მოკალით

მოჰკაცეს... „ვეაიმე, დედა სად მოკვდი?!.
რომელ ცის ქვეშ?!

ზარბაზნები გრილებდნენ, აგერ
უცბად შუა ჯარში ჰაერიდან ცეცხლი გაჩნ-
და: რამდენიმე კაცი ბურთსავით აისროლა...

ხოლო მკვდარი ნიკო და მეორე მეომა-
რი აღარსად სჩანდნენ...

.. ცეცხლმა ჩანთქა!...

ი. ჯიხაიშვილი



დამწვარი თეატრი(ბალის მხრით)

დაიწვა კველი—გაუპარჯოს ახალს!

ქართული თეატრის დაწვამ მთელი შეგნებული საქართველო ამოძრავა და ყველას ერთი აზრი წარმოათქმევინა—**ა შენებულ იქმნას ახალი ქართული ეროვნული თეატრი.** უურნალ-გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ, რა მძიმე ებედურება დაატყდა თავს მთელ ქართველ ერს, მაგრამ ამავე დროს, ღრმად რწმენას გამოთქვამენ, რომ ქართველი ხალხი ამ უბედურებას დასძლევს და ხელოვნების ახალ ტაძარს ააგებს.

„სახალხო ფურცელში“ ს—ა სწერს: „დადუმდა ჩვენი შელხამენა აღარ აჩის ქართული თეატრი, დაიმსხვრა ჩვენი საფურელი ტაძარი, ჩაჭკრა დამწვარი ჩვენი ოცნებისა, აღფრთოვანებისა, უძვირფასე, განცდათა შემოქმედების და იმედის. აღარა გვაქვს ჩვენი ეროვნული საკრებულო, სადაც ასე თუ ისე ვხედავდით ჩვენი მკაჟის ცემას, ვგრობოდით ეროვნულს სულიერკეთებას, გვესმოდა ჩვენი ერის ხმა და ახლა ამას ნაცვლად ჩვენ წინ მხოლოდ ფერფლია, შესასწავლი ნანგრევი და განადგურება...“

უნდა გულამოსკვნით ვიტარიოთ—სატირა-
ლია ესეთი დიდი უბედურება, რომელიც თით-
ქოს რაღაც სიმბოლოურად გვიცხვადებს იმ
ურთიხე განსაცდელს, რომელიც გამოიწვია
ჩვენს მრავალტანჯულს ერს თავის ზიანდანი
ტრაგიკულ ისტორიის განმავლობაში... მაგრამ—
მინდა განსაკუთრებით ხსენებდე ვაშა-
რამისა, —არ გუმართებს ტირილი, ცრემლია არ
უნდა დანაშაოს ჩვენი თვალი და მწერე განცდამ
არ უნდა შეასუსტოს ჩვენი სუნთქვა, ვინაიდან
არ უნდა დავიკნეთ სულთი, უბედურებამ არ უნ-
და გაგვტეხოს და ამ განსაცდელს ისე უნდა
შეგვხდეთ, როგორც შეჭვივარის ჭირში გმოწროთ-
ბილებს. გათავიკებული სიმხნით და ენერგიით
შეგუდგეთ მუშაობას, რომ რაც შეიძლება მალე,
მალე წარვსიტოთ ეოგელი იკვლი დღევანდუ-
ლის უბედურებისა და უფრო გამოშენიერებულის
სახით აღვადგინოთ, რაც დაგვიკრძალავს, აღვადგი-
ნოთ ევალაზე უწინარეს ჩვენი თავისუფალი
შემოქმედების და ხელთახლების ტაძარი—თეატ-
რი...“

**ვაზ. თემი (№ 188) „ჩვენი დიდი
უბედურების გამო:“** თეატრი! რამდენს ძვირ-
ფასს რამეს შეიტანს ეს სიტყვა ქართული გა-
ცისათვის! თუ კიდევ სადმე ქართული საქმე
იყო დაცული, ეს მხოლოდ აქ!..

ეს დიდი ტაძარი, სადაც ეოგელი ქართ-
ველი ევედრებოდა განგების უკეთეს მომავლის,
რაც შეიძლება, მალე მოახლოვებას...

და აი ეს წმინდა ადგილი განქრდა ..
ახლა დრო არის დამნაშავეთა ძიებას!.. ამას
მოვასწრებთ.

კისრად გავწევს სხვა მოვალეობას, მძიმე,
მაგრამ სანატრიო.

უნდა ეოგელი დონე ვიდონოთ, ეველას სა-
შუალება გამოვიკნინოთ, შევქმნათ თანხა და
ხელ-ახალი სთეატრო შენობა ავაგოთ.

ეს ჩვენ შეგვიძლია!
ეს რომ არ შეგვიძლებოდა, ვერც აზიან
წარმოგვათქმევინებდა დიდან — მატარაზს თეატ-
რის დაწვის ამის ზარველ გატანებისთანავე
სიტყვებს: „ჩვენვე უნდა შევკოროთ თანხა ახა-
ლი თეატრის ასაგებად!“
არ უნდა დარჩეს არც ერთი ქართველი,

შინ თუ გარე, რომელიც თავის წვლილი არ
შეიტანოს ამ დიდ საქმეში.

აზიან უნდა მოერადოს წვლილის სიმ-
ცირეს. ვისაც რამდენი შეუძლია, იმან ის
გაიღოს ..

თანხის შეგროვებას ახლავე უნდა შე-
ვუდგეთ.

გადადება არც ივარგებს, არც შეიძლება ..
იმიტომ, რომ საქადრისი არ არის.

უნდა გამოხატვინიოთ ჩვენს ერს ეროვნუ-
ლი სულის სიმძლავრე!..

ჩვენ უნდა ავაგოთ ხელ-ახლად ჩვენი გან-
ვითარებული ხალხის დირსეული ტაძარი...“

**რუსულ ვაზ. „ზაქ. ჩეჩნი“ გრუზინი
სწერს: „** დიდი მწუხარება ეწვია ქართველ საზოგა-
დობას. დაიწვა ქართული თეატრი, ჩაქრა კანდე-
ლი, რომლისკენაც უზომო სიყვარულით იყო
მიზნობილი ეოგელი ქართველის თვალი და
გული, დაიღუპა წ. კ. ს. წიგნთსაწიარნი, სია-
დანაც მთელ საქართველოს სახელმძღვანელო
წიგნები ეფინებოდა, დაინთქა დრამ. სახ. მდი-
დარი სთეატრო წიგნთსაცავი, დაზარადა სახ-
ლი კლუბი, მძიმე ზარალი მიეტა ქართველ
თავდაცხნაურებს. .

ეოგელი ხალხი მიტომ ცხოვრობს, რომ
ხელ-ნელა განამრავლოს თავისი კულტურუ-
ლი სიმდიდრე. ეოგელი ჩვენთაგანის სიტოც-
ხლის ტემპანტი არის და მიზანია—იმუშაოს
ხალხის კულტურული ამაღლებისათვის. ამ მიზ-
ნის მიღწევისათვის ადამიანი კოცონზე იწვო-
დენ; სიტოცხლეს სწირავდენ, ჰქმნიდენ დაწე-
სებულებათ, რომლებშიც სტეშია ეული ხელ-
ხისა, სტოცხლობდა სული, ჰბუდობდა სამშო-
ლოს წმიდათა წმიდა...
რამდენიმე საათის განმავლობაში, ჩვენ
თავდა წინ, ჩანთქა ეს დაწესებულებანი, შექმნილ-
ნი ქართველ ხალხის შრომით, განქრა იგი
წმიდათა წმიდა, შესდგა ხალხის გულის ცემა...
დიად, მხოლოდ შესდგა!

ხალხი, რომელსაც სწეურობს კულტურული
ცხოვრება და სწამს თვისი მომავალი, საქამო

ძალას მოიკრებს, რომ ეს უბედურება გადიტანოს დაფერ ღფიდან სხალი დაწესებულებანი დადგინოს...

თეატრალუ ლებელას ხალხისათვის. თეატრი—ხალხის სკოლაა, თეატრი სსხალხო კულტურის მამოძრებელია.

ქართული ხალხის ეროვნულ კულტურის გაძლიერებისათვის საჭიროა. ამ საეროვნო უბედურებას მთელი ქართველი ხალხი გამოეხმუროს და საერთო ძაღღონით დადგინოს თეატრი და ქ. შ. წ. კ. სასოციალიზმი...

რად გვიანდა ფუფუნება და სიმშვიდე, თუ ეროვნული სიღრცხლის სული ჩაჭკრება! რის მაქნისია ქალთა სამკაულ-ტანისამოსების ბრჭყვიალებს, ვის რამე ეზრანება სმელს ზურის ნატეხს, თუ განჭკრება კულტურული განვითარების წმიდათა წმიდა!

განსაკუთრებული მწუხარება განსაკუთრებულ სწავრბლსად ითხოვს! თითოეულ, ჰატარ-ჰატარა ექობისკან შინაგება უზარ-მისარი დარბაჭები, თითოეულ მანათების და ათშურთანეებისკან სდგება ვეება თანხა.

დაე, ეს მანათები და ათშურთანები წუბროდ მოსქდეს ეოველის კუთხიდან, სდაც ეოერთი ქართველი მანინ ცხოვრებას, ამ სსხალხო-საერთო საქმისათვის, რომ დაოთ შეიქმნას ქართული ეროვნული თეატრი!..

ძალა — ერთობაა.

